საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ შპს „რუსელოის“ გეგმავს აგლომერაციის საამქროს მოწყობას, რომლის განთავსებაც იგეგმება ქ. რუსთავში კომპანიის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე. დღეისათვის, ამავე მიწის ნაკვეთზე ფუნქციონირებს შპს „რუსელოისის“ კუთვნილი ფეროშენადნობთა საწარმო.

აგლომერაციის საშუალებით კომპანია უზრუნველყოფს ფეროშენადნობების წარმოების ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას. მანგანუმის მადანი, კოქსი და სხვა სახის მინარევები (არაკონდიციური, წვრილფრაქციული) მნიშვნელოვნად შეამცირებს ფეროშენადნობთა საწარმოს დანაკარგებს, რაც თავისთავად გამოიწვევს ფეროშენადნობის ღუმელის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

“გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-12 მუხლის მოთხოვნების მიხედვით: გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

“გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-5 მუხლის (ზოგადი დებულებანი) მოთხოვნების მიხედვით: გზშ-ს ექვემდებარება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც ამ კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზშ-ს.

“გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მოთხოვნების შესაბამისად, შპს „რუსელოისმა“ 2019 წლის 4 აპრილის წერილით N5055 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სკრინინგის გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგინა ფეროშენადნობთა ქარხნის ექსპლუატაციის პარამეტრების შეცვლისა და აგლომერაციის საამქროს მოწყობა-ექსპლოატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 08 ივლისის N2-621 სკრინინგის დასკვნის მიხედვით, შპს „რუსელოისის“ დაგეგმილი საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად წარმოგიდგენთ მეტალურგიული (ფეროშენადნობთა) ქარხნის ექსპლუატაციის

პარამეტრების შეცვლისა და აგლომერაციის საამქროს მოწყობა-ექსპლოატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშს.

დანართი:

1. მეტალურგიული (ფეროშენადნობთა) ქარხნის ექსპლუატაციის პარამეტრების შეცვლისა და აგლომერაციის საამქროს მოწყობა-ექსპლოატაციის საწარმოს პროექტის სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი (ნაბეჭდი) და ელექტრონული ვერსია;

2. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ნუგზარ კევლიშვილი